ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ივლისის 15. № 14 ნაწილი პირველი

## შინაარსი

**სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.**

117. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭოს დაარსების შესახებ.

**მრეწველობა.**

118. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციის ფორმების შესახებ.

**მშენებლობა.**

119. ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესების დაცვის შესახებ.

120. ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესის დაცვის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის მე-6-[1] მუხლის დამატების შესახებ.

**მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.**

121. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ.

122. საქართველოს სსრ-ში მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

**ფინანსები.**

123. 1932 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების თაობაზე გამოცემული 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილების დამატების შესახებ.

**შრომა.**

124. საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

წესდება საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურისა.

## სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

### 117. დადგენილება ც.ა.კ.

**ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭოს დაარსების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქალ. ტფილისთან შეერთებული სოფლების ტერიტორიისა და მათზე არსებული სასოფლო საბჭოების გასაერთიანებლად დაარსებულ იქნეს ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო სდგება:

ა) გარეუბნის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქარხანა-ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ერთი წარმომადგენელი (დეპუტატი) მოდიოდეს ყოველ 60 ამომრჩეველზე, და ბ) გარეუბნის რაიონის დანარჩენი მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ერთი წარმომადგენელი (დეპუტატი) მოდიოდეს ყოველ 300 მცხოვრებზე.

დეპუტატებს საგარეუბნო სარაიონო საბჭოსათვის ირჩევენ ტფილისის გარეუბნის სასოფლო საბჭოები თავიანთ პლენუმებზე. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს როგორც სასოფლო საბჭოს წევრი, ისე სხვა პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს.

3. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო თავის გამგებლობის ფარგლებში სათანადო ტერიტორიაზე არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და აერთიანებს მთლად მშრომელ მოსახლეობას ადგილობრივ და სახელმწიფო მმართველობასა და სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

4. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო ხელმძღვანელობას უწევს ყველა სარაიონო დაწესებულების და რაიონის სასოფლო საბჭოს მოქმედებას და აგრეთვე მეთვალყურეობასა და კონტროლს უწევს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობას, რომელნიც გარეუბნის ტერიტორიაზე იმყოფებიან და სარაიონო ორგანოებს არ ექვემდებარებიან.

5. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო ექვემდებარება ტფილისის საქალაქო საბჭოს.

6. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭოს აქვს იურიდიული პირის უფლება.

7. საგარეუბნო სარაიონო საბჭოს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც იხილავს საგარეუბნო სარაიონო საბჭო და საბოლოოდ ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭო.

ტფილისის საქალაქო საბჭო ანაწილებს საშემოსავლო წყაროებს და ხარჯებს ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭოს ბიუჯეტსა და სარაიონო საბჭოს ქვემდებარე სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე ანაწილებს ქონებას მისი მნიშვნელობის მიხედვით სარაიონო და სასოფლო ქონებად.

8. საგარეუბნო სარაიონო საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს რიცხვით არა უმეტეს 15 კაცისა. საგარეუბნო სარაიონო საბჭოს ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე პრეზიდიუმი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა რაიონის ტერიტორიაზე.

9. რაიონის მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სამუშაოთა შესასრულებლად საგარეუბნო სარაიონო საბჭო აწყობს განყოფილებებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთი მუშაობისათვის და ყველა მათი ქვემდებარე დაწესებულებისა და საწარმოს მუშაობისათვის, როგორც საგარეუბნო სარაიონო საბჭოს წინაშე, ისე ტფილისის საქალაქო საბჭოს სათანადო განყოფილების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ტფილისის საგარეუბნო სარაიონო საბჭო ვალდებულია ჩააბაროს თავ-ვისი მუშაობის ანგარიში ტფილისის საქალაქო საბჭოს ყოველ ნახევარ წელში ერთხელ.

ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებთან საგარეუბნო სარაიონო საბჭოს ურთიერთობა აქვს ტფილისის საქალაქო საბჭოს მეშვეობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

---

# მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

## 118. დადგენილება ს.კ.ს.

### საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციის ფორმების შესახებ.

„სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 26-ის დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 74) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. რადგანაც საქართველოს სსრ-ში სარეწაო კოოპერაციის განვითარების პირობები განსაკუთრებულია და არ არსებობს სათანადო მატერიალური ბაზისი, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წ. თებერვლის 26-ის, დადგენილების საფუძველზე, სატყეო და საჭამადო რეწაობანი გამოყოფილ იქნენ სარეწაო კოოპერაციის განსაკუთრებულ სადარგო სისტემებად, ამიტომ დროებით დატოვებულ იქნეს ამ ჟამად საქართველოს სსრ-ში მომქმედი სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაცია, ე. ი. სარეწაო ამხანაგობებისა და არტელების გაერთიანება სარეწაო კოოპერაციის უნივერსალურ რესპუბლიკანურ კავშირად—„სარეწაო კავშირად“, მასთან არსებული სინდიკატის ტიპის სადარგო სამეურნეო-ანგარიშიანი შენაერთებით.

2. სარეწაო კოოპერაციის მოქმედების დაგეგმვა და რეგულირება დატოვებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში—ისე კი, რომ სატყეო და ხის დამმუშავებელი რეწაობის დაგეგმვას იგი აწარმოებდეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), ხოლო საჭამადო რეწაობისას—საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს საერთო კავშირის დამყარება სარეწაო კოოპერაციის მუშაობასა და სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმას შორის და სარეწაო კოოპერაციის ორგანოების მოქმედების პრაქტიკაში წარმოშობილი სადავო საუწყებათაშორისო საკითხების გადაწყვეტა.

განისაზღვროს, რომ ეს კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით და რომ მის შედგენილობაში შედიან მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი: სარეწაო კოოპერაციის კავშირის—„სარეწაო კავშირის“ და მის სისტემაში შემავალი სამი დიდი სადარგო შენაერთისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებისა, სატყეო მრეწველობისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრის) და სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების სრულიად საქართველოს კავშირისა.

II.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 308) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლს დაემატოს „ა[1]“ და „გ[1]“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[2. კომიტეტს დაეკისრება საქართველოს სსრ ფარგლებში:....]

„ა[1]) დაამყაროს საერთო კავშირი სარეწაო კოოპერაციის მუშაობასა და სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმას შორის“;

„გ[1]) გადასწყვიტოს სარეწაო კოოპერაციის ორგანოების მოქმედების პრაქტიკაში წარმოშობილი სადავო საუწყებათაშორისო საკითხები“;

ბ) მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით და მის შედგენილობაში შედიან მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენელნი: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სატყეო და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, სარეწაო კოოპერაციის კავშირის—„სარეწაო კავშირის“ და მის სისტემაში შემავალი სამი სადარგო შენაერთისა, სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევის და საურთიერთო დახმარების სალაროების სრულიად საქართველოს კავშირისა და საქართველოს სასოფლო-სამეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (საქართველოს სიკოლმეურნეო ცენტრი).

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, პროექტი დადგენილებისა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც შეტანილ უნდა იქნეს სარეწაო კოოპერაციის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 78 და მე-16 №-ი, მუხ. 174; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 120; მე-13 №-ი, მუხ. 197; მე-19 №-ი, მუხ. 283 და 284 და 23 №-ი, მუხ. 232; 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 26; მე-15 №-ი, მუხ. 172 და მე-18 №-ი, მუხ. 188), „სარეწაო კოოპერაციის მშენებლობის ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 26-ის დადგენილებასთან და ამა დადგენილებასთან დაკავშირებით, და აღნიშნული პროექტი წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

III.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ თავიანთთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტები, რომელთაც დააკისრონ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული კომიტეტის ფუნქციების ანალოგიური ფუნქციების განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1932 წ. მაისის 23.

ტფილისი.

---

# მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

## 119. დადგენილება ც.ა.კ.

**ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესების დაცვის შესახებ.**

შენობების (როგორც ახლად ასაგები, ისე დასაშენებელი) ფასადების არქიტექტურული გაფორმების დროს ხშირად არ ექცევა ყურადღება ფასადის მთლიანობას (დაშენების დროს) და სათანადო გაფორმების წესებს (ახლად ასაგებ შენობებზე).

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინადადება მიეცეს საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ახლად ასაგებ შენობათა ფასადების არქიტექტურულ გაფორმებას.

აღნიშნული ორგანოების სათანადო დადგენილებანი სავალდებულოა ყველა სამშენებლო ორგანიზაციისათვის.

2. წინადადება მიეცეს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას—არსებულ შენობებზე სართულების დადგმის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფასადების არქიტექტურულ გაფორმებას. როდესაც დასაშენებელი შენობის ფასადი წარმოადგენს განსაზღვრულ არქიტექტურულ ღირებულებას, აღნიშნული გაფორმება უნდა სწარმოებდეს ისე, რომ ახლად დასადგმელი ნაწილის ფასადი არქიტექტურულად შეესაბამებოდეს შენობის არსებული ნაწილის ფასადს.

სხვა შემთხვევაში შენობის არსებული ნაწილის ფასადი არქიტექტურულად დაკავშირებულ უნდა იქნეს ახლად დასაშენებელი ნაწილის ფასადთან.

ამასთანავე, სამშენებლო ორგანიზაციებმა მტკიცეთ უნდა დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები იმ პირთა კვალიფიკაციის შესახებ, რომელთაც აქვთ პროექტის შედგენისა და სამუშაოების წარმოების უფლება.

**შენიშვნა.** დაშენების დროს სავალდებულოა მთელი შენობის ფასადის სრული რემონტი და განახლება.

როდესაც ახალი შენობა ან ახალ ნაწილ-დაშენებული შენობა მაღალია მომიჯნავე შენობებზე, სამშენებლო ორგანიზაციები მოვალენი არიან გვერდის კედლები მთავარი ფასადის იერზე შეღებონ.

3. აიკრძალოს საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებებით ქუჩის სიგანის შესაბამისად დაწესებული შენობათა ზღვრული სიმაღლის გადამეტება.

4. აიკრძალოს ახალ შენობათა აგება და არსებულთა დაშენება იმ ქუჩების წითელი ხაზის ფარგლებს იქით, რომლებიც გაგანიერებულ უნდა იქნეს სათანადო წესით დამტკიცებული პროექტების თანახმად.

5. განისაზღვროს მთავარ ქუჩებზე ასაგებ ახალი შენობებისა და დასაშენებელი შენობების სართულთა მინიმალური რაოდენობა:

ა) ქალ. ტფილისსა, ქუთაისსა, ბათომსა და ფოთში—სამი სართული;

ბ) სხვა ქალაქებში—ორი სართული.

**შენიშვნა.** უკეთუ მთავარ ქუჩებზე მდებარე შენობა, ტექნიკურ მოსაზრებათა გამო, არ შეიძლება მიღწეულ იქნეს ამა მუხლში აღნიშნულ სართულთა მინიმუმამდე, იგი იგულისხმება როგორც დასაქცევი შენობა. ასეთი შენობის კაპიტალური რემონტი აკრძალულია.

5. დაევალოს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას—გადასინჯოს ახალ შენობათა და დასაშენებელთა მშენებლობის პროექტები (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რეალიზებულია ეს პროექტები) მათში საჭირო ცვლილებების შესატანად ამა დადგენილებისა და მის განხორციელებისათვის გამოსაცემი ინსტრუქციის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლილი პროექტები წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად სასა-ნადო ორგანოებში ერთი თვის ვადაზე დღიდან შეცვლისა.

შეცვლილი პროექტების დამტკიცების შემდეგ სამშენებლო ორგანიზაციები მოვალენი არიან ერთი თვის ვადაზე შეუდგნენ მუშაობას.

7. ინსტრუქციას ამა დადგენილების განხორციელებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მაისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 138 №-ში 1932 წ. ივნისის 15.

---

## 120. დადგენილება ც. ა. კ.

**ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესის დაცვის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის მე-6¹ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესების დაცვის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლ. მაისის 13-ის დადგენილებას (კან. კრ. 1932 წ. № 14. მუხ. 119.; გაზ. „კომუნისტი“ № 138) დაემატოს მე-6¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„6¹. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის თანახმად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „კომუნისტის“ 153 №-ში 1932 წ. ივლისის 3-ს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

## 121. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ.**

ნათესი ფართობებისა და მოსავლის აღნუსხვის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 3-ის თარიღისა და 629 №-ის დადგენილების და ა/კ-სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივნისის 8-ის თარიღისა და 482 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 31 №-ი, მუხ. 192 და „ზარია ვოსტოკა“ № 134 1932 წლისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს ზუსტი და ამომწურავი ცნობები სამარცვლეულო, ტექნიკური, საკვები, ბაღ-ბოსტნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების, მოსავლის და საერთო პროდუქციის შესახებ, მოეწყოს საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიები: რესპუბლიკანური—საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოსთან და სარაიონო—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

დაევალოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ სათანადო საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიები ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

2. რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისია შესდგება საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და მის შედგენილობაში შედიან ამ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექტორისა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოსი (საქართველოს სსრ-ში), მიწათმოქმედების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირისა (საქ. კოლმეურნცენტრი), „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორისა, „ზაგოტხლოპოკის“ საქართველოს კონტორისა და საქართველოს სამიწათმოქმედო საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელნი.

რესპუბლიკანური სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების და სხვ. წარმომადგენელნიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო შედგენილობით მოეწყობიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებთან არსებული საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიები.

სარაიონო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისია მოეწყობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით; ამ კომისიის შედგენილობაში შევლენ საქართველოს კომპარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტისა, სარაიონო საგეგმო, სააღნუსხვო, საადგილმამულო და სადამზადებლო ორგანოებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარაიონო ორგანოსი, კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირისა (სარაიონო საკოლმეურნეო კავშირი) და სამიწათმოქმედო საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

3. სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიები, მომქმედი ოპერატიული ანგარიშგების საფუძველზე, შეამოწმებენ და დააზუსტებენ თესვის შედეგების ცნობებს, შეაფასებენ იმას, თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს, და აგრეთვე შეამოწმებენ და დააზუსტებენ სამარცვლეულო, ტექნიკური, საკვები და სხვა კულტურების საერთო პროდუქციის ცნობებს.

აღნიშნული კომისიები მოქმედობენ მათ შესახებ გამოცემული დებულების თანახმად, რომელსაც დაამტკიცებს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველო სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. ოპერატიული ანგარიშგების ცნობების დამახინჯებისათვის სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიას უფლება აქვს მისცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით დამნაშავე თანამდებობის პირი.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს თესვის შედეგები დოკუმენტური ცნობებით, რისთვისაც უნდა მიიღოს შემოწმებული საანგარიშო ცნობები თვითეული საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობისა, სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობისა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მეურნეობისათვის; ამავე მიზნით სასოფლო საბჭოებმა უნდა შეადგინონ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა ნათესების სათანადო მეურნეობითი სიები.

წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს შეადგინონ მეურნეობითი სიები კოლმეურნეთა მეურნეობის განუსაზოგადოებელი ნაწილისა და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა ნათესებისათვის, საქართველოს სსრ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით და გამოჰყოს ამ მიზნით სპეციალური პირები.

აღნიშნული მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნეს სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო გეგმის საფუძველზე 10 დღის განმავლობაში თესვის დამთავრების შემდეგ, თანაც თეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შედეგები დამუშავებულ უნდა იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოებში.

6. დაევალოს ყველა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას და აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობას აწარმოონ მიღებული პროდუქციის აღნუსხვა მოსავლის აღების კამპანიის დასაწყისიდანვე (მოთიბული ფართობის აღნუსხვა, მიღებული ზვინების რაოდენობა, გალეწვის შემდეგ მარცვლეულის გამოსავალის აღნუსხვა, შესაგროვებელ პუნქტებში, საწყობებში და სხვ. ჩაბარებული მარცვლეულის აღნუსხვა, გადამუშავების ყველა სტადიისათვის აღნუსხვის საქმის დაყენება—ტექნიკური კულტურების ხაზით და სხვ.).

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოაწყოს, სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს და ა/კს სსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ინსტრუქციების საფუძველზე, სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიების წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით, მოსავლის რაოდენობის გამორკვევა გალეწილი პურის ამორჩევითი შემოწმების საშუალებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ივნისის 11

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 138 №-ში 1932 წ. ივნისის 15.

---

## 122. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

### საქართველოს სსრ-ში მეცხვარეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ-ში სამრეწველო ხორცეულ-მატყლეული მეცხვარეობის განვითარების სტიმულირებისათვის საზაფხულო და საზამთრო საძოვრების კომბინირებული გამოყენებისა და მინდვრეული საკვების მოპოების ბაზისზე, აგრეთვე კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხთა შორის სამომხმარებლო მეცხვარეობის განვითარებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გადასინჯოს და შეამციროს ხუთი დღის ვადაზე მატყლის დამზადების გეგმა ცხვრის ნამდვილი რიცხვის შესაბამისად, რაც დადგენილია ოთხფეხი საქონლის უკანასკნელი აღწერით; თანაც განსაზღვროს, მეცხვარეობის მეურნეობათა საკუთარ სამომხმარებლო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, კონტრაქტაციით მატყლის ჩაბარების ნორმები ნაპარსის საერთო რაოდენობის მიხედვით: მეცხვარეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების ხაზით—85 პროცენტის რაოდენობით და კოლექტიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობათა და ინდივიდუალურ მშრომელ საგლეხო მეურნეობათა სამრეწველო მეცხვარეობის ხაზით—70 პროცენტის რაოდენობით საშუალოდ.

2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით გათვალისწინებული იმ შეღავათების დასამატებლად, რაც დადგენილია მეცხვარეობის განვითარების მიზნით, ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეობათა ცხვრისა და თხის შემოსავლის ნორმები სამრეწველო მეცხვარეობის რაიონებში (აღმოსავლეთ საქართველოში) შემცირებულ იქნეს ნახევრად, ე. ი. სამი მანეთიდან მანეთნახევრამდე თითო სულზე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების (თვითდაბეგვრისა, წყლის გამოსაღები და სხვა მისთ.) სათანადო შემცირებით.

3. მიენდოს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, საკითხი მატყლის სადამზადებლო ფასების გადიდების შესაძლებლობის შესახებ წმინდა თუშური მატყლის ნამდვილი გამოსავლის შესაბამისად.

4. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების და მომარაგების სახალხო კომისარიატებს და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალურ კავშირს (საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრს), ავრეთვე პარტიის ყველა სარაიონო კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ცხვრის ყველისა და ხორცის დაუბრკოლებლად გაყიდვას ბაზარზე შექმნილ ფასად იმ კოლექტიურ მეურნეობათა, კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნე გლეხთა მიერ, რომელნიც პირნათლად ასრულებენ მეცხვარეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებას; თანაც აღმოფხვრან კერძო მოვაჭრენი და ჩარჩი-სპეკულანტები, რომელნიც ცდილობენ გამდიდრდენ მშრომელ გლეხთა ვაჭრობაზე.

5. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს ხუთი დღის ვადაზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მომქმედი წესებით გათვალისწინებული საიჯარო გამოსაღების გადახდის ვადები, რათა ეს ვადები სავსებით შესაბამებულ იქნეს მეცხვარეობის პროდუქციის რეალიზაციის ვადებთან.

6. მიენდოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს და ერთი დეკადის ვადაზე შეიტანოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში ნაბდებით, შინელებით და ქალამნებით მეცხვარეთა მომარაგების გეგმა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს— დაამთავროს 1933 წლის ზაფხულამდე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა სასაძოვრო ფონდის გამოკვლევა მეცხვარეობის მეურნეობებზე საზამთრო, საზაფხულო და გადასასვლელი საძოვრების მიმაგრების მიზნით—ისე, რომ არა უგვიანეს მიმდინარე წლის შემოდგომისა დამთავრებულ იქნეს იმ საზამთრო საძოვრების მოწყობა, რაც მიიმაგრება საბჭოთა მეურნეობებზე და მე-

ცხვარეობის სასაქონლო ფერმებზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა საძოვრების მიწათმოწყობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. შემოდგომისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ასიგნვები.

8. საძოვრების სარგებლობაში გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის მიმაგრებულ იქნეს მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებზე საერთანადო სასაძოვრო ნაკვეთები, მათთვის ამ ნაკვეთების წესიერად გამოყენებისა და გაუმჯობესების კონკრეტულ ვალდებულებათა დაკისრებით.

დაევალოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს—გაითვალისწინონ ხოლმე თავიანთ საფინანსო გეგმებში ყოველწლიური ხარჯი საძოვრების გაუმჯობესებისათვის საშუალოდ არა ნაკლებ სამი მანეთისა ჰექტარზე.

9. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაიმუშაოს ერთი თვის ვადაზე და შემოიღოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, სასაძოვრო აგრომინიმუმი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება საძოვრების გამოყენების გაუმჯობესების და რაციონალიზაციისათვის მასურ ღონისძიებათა სავალდებულო განხორციელება (საძოვართა ბრუნვის მოწყობა, დატვირთვის ნორმები და სხვა მისთ).

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მეცხვარეობის საკოლმეურნეო ცენტრს—მოაწყონ ცხვრის უზრუნველსაყოფად როგორც კოლექტიურ მეურნეობებში, ისე კოლმეურნეთა მეურნეობების არაგანსაზოგადოებულ ნაწილში და ინდივიდუალურ მშრომელ საგლეხო მეურნეობებში ყოველწლივ საზამთრო საძოვრებზე თივის სადამზღვეო ფონდების დამზადება.

მიენდოს მეცხვარეობის საკოლმეურნეო ცენტრს—უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული დაღესტნის ავტონომიურ სსრ-ში და შირაქის რაიონში თივის დამზადების გეგმის (9.000 ტონა) სრული განხორციელება.

11. აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი, რათა საზამთრო საძოვრების რაიონებში გაიშალოს სამანქანო-სათიბავი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელი ისეთი ანგარიშით რომ არა უგვიანეს 1933 წლისა ამ სადგურებმა მომსახურეობა გაუწიონ საზამთრო საძოვრების რაიონების ყველა სათიბს (შირაქი, ბორჩალო, ყარაია, გარე-კახეთი).

12. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იხმაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში (შირაქი, უდაბნო, გიაურ-არხი) და სამრეწველო მეცხვარეობის რაიონებში შემოღებულ და გავრცელებულ იქნეს საკვებთა თესლბრუნვა, თანაც უზრუნველჰყოს ამ მეურნეობებისა და რაიონების პირველ რიგში მომარაგება სათესი ბალახის თესლით მეცხოველეობის სამრეწველო მერძეული რაიონების თანაბრად.

13. რადგანაც სამრეწველო მეცხვარეობის განვითარება და აგრეთვე ცხვრის საძოვრების საკვები თვისების გაუმჯობესება საქართველოს სსრ-ში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ გამოყენებულ იქნება საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ მდებარე საძოვრები (დაღესტნის ავტ. სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ტერიტორიაზე), აღძრულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერატიული ორგანოების მეშვეობით საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა საქართველოს სსრ მეცხვარეობას მიეცეს მტკიცე უფლება მეზობელ რესპუბლიკებში განსაზღვრული სასაძოვრო მასივების სარგებლობისათვის.

14. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ საძოვრების საიჯარო ქირის შემოსავალი 1932 წელს ჩაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 1933 წელს ეს შემოსავალი გადაცემულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და მოხმარდეს საძოვრების, ოთხფეხი საქონლის სარეკი გზების და სხვ. გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული დირექტივი 1933 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

15. რადგანაც ჯოგის გარეკვის სათანადო ორგანიზაცია და, კერძოდ, ოთხფეხი საქონლის სარეკი გზების მოწესრიგება მეცხვარეობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ორი თვის ვადაზე შეიმუშაოს, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან ერთად, ოთხფეხი საქონლის სარეკი გზების გაფართოებისა და ჯოგის გასაჩერებელი ადგილების ორგანიზაციის გეგმა.

დაევალოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, საკითხი მთა-თუშეთში და ალაზნის თავში გზების გაყვანის შესახებ, თანაც უზრუნველჰყოს ამ გზების მშენებლობის დაწყება 1933 წელს.

16. საზამთრო და საზაფხულო საძოვრების რაიონებში წყლის მიწოდების საქმის მოსაწესრიგებლად, რასაც მეცხვარეობის განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს სათანადო მოწყობილობათა გეგმა (წყალსათავსები, ჭები და სხვ.).

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ნავთის მრეწველობის ტრესტს—„საქნავთს"—გამოჰყონ საჭირო სახსარი იმ მიზნით, რომ წარმოებულ იქნეს საძიებლო მუშაობა შირაქის რაიონის წყლით უზრუნველყოფისათვის ქაღრიზებისა, არტეზიანის ჭების და სხვ. მოწყობის საშუალებით.

17. რადგანაც მეცხვარეობის კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალურ კავშირს (საქ. კოლმეურნცენტრს) — უზრუნველჰყონ გეგმით ნავარაუდევი ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული კოლმეურნეობების განმტკიცებას, პირველ რიგში ბინების მშენებლობის მხრივ, ისეთი ანგარიშით, რომ მომავალ საზამთრო სეზონში (1932/33 წ.) ამ კოლექტიურ მეურნეობებში უზრუნველყოფილ იქნეს გაუმჯობესებული ბინებით არა ნაკლებ 160.000 სული ცხვარი.

18. წანიდადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ ის მეცხვარეობის მეურნეობებში საჯიშე შედგენილობის გაუმჯობესება, რისთვისაც იხმაროს ღონისძიებანი თუშური ცხვრის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე მოაწყოს ამ ცხვრის ინგლისურ გრძელ-ბეწვიან ჯიშებთან (ლინკოლნი, შევიოტი და სხვ.) მეტიზაციის მასური ცდები.

აღნიშნულ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა ორი დეკადის ვადაზე უნდა წარედგინოს განსახილველად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

19. დაევალოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განამტკიცონ მეცხვარეობის კოლმეურნეობათა ცენტრის კადრები ისე, რომ ამ ორგანიზაციამ შესძლოს ნამდვილად უზრუნველჰყოს და მეთაურობა გაუწიოს მეცხვარეობის აგრო-საწარმოო მომსახურეობის საქმეს კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა მეურნეობების განუსაზოგადოებელ ნაწილში და ინდივიდუალურ შრომითს საგლეხო მეურნეობებში.

20. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების კომისიას—1932 წლის ივნისის დამლევს მოისმინოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება ამა დადგენილების შესრულების მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. ალნიაშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს მდივანი **ლ. ბერია.**

1932 წ. მაისის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 135 №-ში 1932 წ. ივნისის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

## 123. დადგენილება ს.კ.ს.

**1932 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების თაობაზე გამოცემული 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილების დამატების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1932 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ გამოცემულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 26-ის დადგენილებაში (კან. კრ. 1932 წ. № 12, მუხ. 87; გაზ. „კომუნისტი" 1932 წ. № 125 და 126) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-11 მუხლის ლიტერ „ა"-ს დაემატოს მე 5 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[11. ტექნიკური კულტურების და სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები: ა) დაბეგვრისაგან განთავისუფლდება:....]

„5) ბამბის ნათესი სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის და გარე-კახეთის რაიონებში".

2. 53 მუხლს დაემატოს ლიტ. „ე" შემდეგი შინაარსისა:

[53. ინდივიდუალურ შრომით მეურნეობაში დაბეგვრისაგან განთავისუფლდება:....]

„ე) ბამბის ნათესი სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის და გარე-კახეთის რაიონებში".

3. მე VI კარს დაემატოს 58-[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„58-[1]. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ცხვრისა და თხის შემოსავლის ნორმები განახევრდება (3 მანეთის მაგიერ 1-50 კაპ. ერთ სულზე)".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **პ. აღნიაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. ივნისის 9.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ რ ო მ ა

## 124. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესდების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს წესდება საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურისა.

2. აღნიშნული წესდების სამოქმედოდ შემოღებისას გაუქმებულ იქნეს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის მარტის 10-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საპატიმრო ადგილებში სამსახურის შესახებ (საქ. სსრ-ის კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 20) და

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის მარტის 10 ის დადგენილებით დამტკიცებული სადისციპლინო წესდება საპატიმრო ადგილებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 21).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.
ტფილისი.

---

# წ ე ს დ ე ბ ა

## საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურისა.

### ზოგადი დებულებანი.

1. ამა წესდებით დადგენილია შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების საერთო უფლება-მოვალეობანი, მათი სამსახურში მიღებისა და დათხოვნის წესი, მათ მიერ სამსახურის გავლის წესები, სადისციპლინო გადასახდელი, რაც ამ მომუშავეებს შეიძლება დაედვას, წახალისებისა და დაპრემირების ღონისძიებანი და შრომა-გასწორების დაწესებულებების თავმდგომთა შედგენილობის რეზერვის წესები.

2. ეს წესდება ვრცელდება შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამეურნეო და ოპერატიული შედგენილობის პირებზე, რომელთა ნუს-

ხასაც დაადგენს საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამწყობრო შედგენილობა იყოფა საკომანდო და სამერიგეო შედგენილობად.

საკომანდო შედგენილობა თავის მხრივ იყოფა უმაღლეს, უფროს, საშუალო და უმცროს ჯგუფებად.

სამწყობრო შედგენილობის პირთა ჯგუფების მიხედვით განაწილება და კატეგორიებად დაყოფა განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

4. შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებს ამტკიცებს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ამა წესდების საფუძველზე.

## ვ ა რ ი ა ნ ტ ი

### შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების სამსახურში მიღება.

5. ის პირი, რომელიც შედის შრომა-გასწორების დაწესებულებების სამსახურში ამა წესდების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, უნდა შეეფერებოდეს შემდეგ პირობებს:

ა) ჰქონდეს, სსრ კავშირის კონსტიტუციით, საარჩევნო უფლება;

ბ) იყოს არა ნაკლებ 21 წლისა;

გ) იცოდეს წერა-კითხვა;

დ) თავისი ჯანმრთელობით აკმაყოფილებდეს შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით დადგენილ მოთხოვნებს და არ ჰქონდეს ამ სამსახურის შესრულების დამაბრკოლებელი ავადმყოფობა იმ ნუსხის თანახმად, რასაც გამოსცემს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო საქართველოს სსრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

ე) ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს შრომა-გასწორების დაწესებულებაში სამსახურისათვის ვარგისობის ხარისხის შემოწმება.

მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში ნამსახურევ პირს შრომა-გასწორების დაწესებულების სამსახურში მიღების დროს აქვს უპირატესობა იმ პირთან შედარებით, რომელსაც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში არ უმსახურნია.

**შენიშვნა 1.** განსაკუთრებულ შემთხვევაში სამსახურში დამნიშვნელ უფროსს შეუძლიან მიიღოს სამსახურში ისეთი პირი, რომელსაც ამა მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ კომისიაში გამოცდა არ გაუვლია, ხოლო ეს მიღება შემდგომ უნდა დაამტკიცოს ზემდგომმა ინსტანციამ.

**შენიშვნა 2.** ამა მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნული გამომცდელი კომისიების მოწყობის წესს და მათი მოქმედების წესებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი რესპუბლიკის პროკურორთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. შრომა-გასწორების დაწესებულების სამსახურში არ მიიღება:

ა) სადისციპლინო წესით ან უვარგისობის გამო შრომა-გასწორების, საადმინისტრაციო და სასამართლო-საგამომძიებლო დაწესებულებებისა, სამხედრო უწყების ორგანოებისა და აგრეთვე გამხედროებული დაწესებულებების სამსახურიდან დათხოვნილი პირი;

ბ) სამართალში ან გამოძიებაში მიცემული პირი და აგრეთვე სასამართლოს განაჩენით უფლება-აყრილი პირი;

გ) კონტრრევოლიუციონური დანაშაულისა, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიში—მმართველობის წესრიგის საწინააღმდეგო—დანაშაულისა და ანგარებითი დანაშაულის გამო მსჯავრდადებული პირი, უკეთუ ამ პირს ნასამართლეობა არსებული წესისამებრ მოხსნილი არა აქვს.

7. შრომა-გასწორების დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნა მოხდება შემდეგი წესით:

ა) საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო;

ბ) შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსებს და მათ მოადგილეებს, შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების მოსამზადებელი და გადასამზადებელი სასწავლებლების უფროსებს და უმაღლესი ჯგუფის მთელ საკომანდო შედგენილობას დანიშნავს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი;

გ) საშუალო და უმცროსი ჯგუფის საკომანდო შედგენილობას დანიშნავს საქართველოს სსრ-ის შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსების წარდგენით;

დ) შრომა-გასწორების დაწესებულებათა დანარჩენ მომუშავეებს დანიშნავენ იმ დაწესებულებათა უფროსები, რომელთა სამსახურშიაც ეს მომუშავეები შედიან.

8. საადმინისტრაციო-სამეურნეო და ოპერატიული შედგენილობის პირს, რომელიც დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეიძლება დაეკისროს სათანადო თანამდებობის მოვალეობის აღსრულება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში—1 თვემდე, რომლის გავლისას იგი ან დამტკიცდება თანამდებობაზე ან მას მიღებაზე უარი ეთქმის.

9. შრომა-გასწორების დაწესებულების მომუშავე, რომელიც სამსახურში ამა წესდების წესისამებრ შევა, დასდებს წერილობითს ვალდებულებას, რომ იგი ამ დაწესებულებაში 2 წელიწადზე ნაკლებ ხანს არ იმსახურებს.

10. ის პირი, რომელიც შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების მოსამზადებელ და გადასამზადებელ სასწავლებელში სწავლობდა, ვალდებულია სწავლების კურსის დამთავრებისას იმსახუროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა ორგანოებში ორ-ორი თვე სწავლების თვითეული თვისათვის, ხოლო ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 2 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი ვადების გასვლამდე თავისი სურვილით სამსახურისათვის თავის დანებება შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში იმ უფროსის შეხედულებისამებრ, რომელსაც ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნის უფლება აქვს, თანაც მხოლოდ ავადმყოფობის გამო ან მძიმე ოჯახური გარემოების გამო.

12. ამა წესდების მე-9 და მე-10 მუხლებში აღნიშნულ ვადაზე ადრე სამსახურის თვითნებისად მიტოვებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამეურნეო და ოპერატიული შედგენილობის მომუშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სასამართლოს წესით საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 127[1] მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 130; 1931 წ. 18 №-ი, მუხ. 204).

13. მობილიზაციის გამოცხადებისას და მისი მოქმედების დამთავრებამდე შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი, თუ სათანადო ორგანოების სხვა რამ დადგენილება არ იქნა, ითვლებიან მიმაგრებულად შრომა-გასწორების დაწესებულებებზე, თუნდაც ვადა მათ მიერ მიცემული ვალდებულებისა 2 წლის სამსახურის შესახებ გასულიც იყოს.

## ჯ ა ტ ი II

### შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების უფლება-მოვალეობანი.

14. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების საერთო უფლება-მოვალეობანი დადგენილია ამა წესდებით.

15. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეებზე, რომელთაც ამა წესდების (მუხ. 2) მოქმედება შეეხებათ, არა ვრცელდება შრომის საერთო კანონმდებლობა, გარდა სოციალური დაზღვევის კანონებისა და სსრ კავშირის შორეულ ადგილებში და დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების შესახებ მოქმედი კანონებისა. აღნიშნულ მომუშავეთა შრომის პირობები, სამსახურში მიღებისა, სამსახურის გავლისა და სამსახურიდან დათხოვნის წესი განისაზღვრება ამა წესდებით და სამსახურის წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო (მუხ. მე-4) შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა) შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი იყოფიან ნორმირებული და არანორმირებული სამუშაო დროის მქონე მომუშავეებად; ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნებიან საშუალო, უფროსი და უმაღლესი საკომანდო შედგენილობის მომუშავენი და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავენი იმ სიით, რასაც დაადგენს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

ბ) ნორმალური დღე ნორმირებული სამუშაო დროის მქონე მომუშავეებისათვის განისაზღვრება 8 საათით, ხოლო გონებრივი და საკონტორო შრომის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის—$6^1/_2$ საათით, წარმოებითს საწარმოში მომუშავე პირთა გარდა, რომ-ლებისათვისაც დაწესებულია 8 საათის სამუშაო დღე;

გ) საჭიროების შემთხვევაში ნორმირებული სამუშაო დროის მქონე მომუ-შავემ უნდა შეასრულოს ოპერატიული სამუშაო ნორმალური დროის ზედმეტად განსაკუთრებული სასყიდლის მიუცემლად; ოპერატიული მუშაობის შემთხვევები, რაც მოითხოვს მუშაობას ნორმალური დროის ზედმეტად, განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. მე-4);

დ) საჭიროების შემთხვევაში შრომა-გასწორების დაწესებულების მომუშა-ვეს არ შეუძლიან უარი სთქვას მუშაობაზე ღამით, აგრეთვე მორიგ გამოსასვლელ დღეს და დასვენების დღეს; ამასთანავე აღნიშნული დღეების ნაცვლად მომუშა-ვეს მიეცემა სხვა გამოსასვლელი დღე შეძლებისადაგვარად უახლოეს დროში;

ე) ყოველწლიური მორიგი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება სა-სამსახურო მოვალეობის ხასიათის მიხედვით, ხოლო არ შეიძლება 15 სამუ-შაო დღეზე ნაკლები იყოს; როგორც ყოველწლიური მორიგი, ისე რიგს გარეშე შვებულების მიცემის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით;

ვ) ქალი, რომელიც გონებრივ და საკონტორო შრომას ეწევა, განთავი-სუფლდება მუშაობისაგან 42 დღით მშობიარობამდე და 42-ით მშობიარობის შემდეგ, ხოლო ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა,—56 დღით მშობიარობამდე და 56 დღით მშობიარობის შემდეგ;

ზ) ორსულობის მე-5 თვიდან დაწყებული, ქალი არ შეიძლება ღამით სა-მუშაოზე გაიგზავნოს ან წარვლინებულ იქნეს სხვა ადგილას მუდმივი მუშაობის გარეთ;

თ) ძუძუს მაწოვებელი დედა მუშაობის განმავლობაში განთავისუფლდება განსაზღვრული დროით ბავშვის წოვებისათვის, თანაც ეს დრო სამუშაო დროში ჩაითვლება.

16. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი და მათი ოჯახები უზრუნველყოფილ იქნებიან სოციალური დაზღვევის საერთო წესისამებრ.

17. შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამერიგეო ოპერატიული შედგე-ნილობის მომუშავენი, სოციალური დაზღვევისაგან დამოუკიდებულად, დაზღვე-ულ იქნებიან სახელმწიფო დაზღვევის წესისამებრ შრომა-გასწორების დაწესე-ბულებათა ხარჯით. ეს დაზღვევა ითვალისწინებს ერთდროული სადასაზღვეო საზღაურის მიცემას სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს სიკვდილის თუ დაშავების შემთხვევისათვის და მხედველობაში არ მიიღება სოციალური და-ზღვევის წესით პენსიის დანიშვნის ან დახმარების მიცემის დროს.

18. შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტ-რაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავეებზე გავრცელდება მუშათა და გლეხ-თა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის მინიჭებული შე-ღავათები სახალხო განათლების, მიწათსარგებლობის და სოფლის მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგში, აგრეთვე საბინაო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა მეღავათები.

19. შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრატიო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავეებს პერიოდულად მოემატებათ ხელფასი ნამსახური წლებისათვის შემდეგი რაოდენობით: შრომა-გასწორების დაწესებულებაში სამი წლის განუწყვეტელი სამსახურისათვის—10%, ექვსი წლის სამსახურისათვის 20% და ცხრა წლის სამსახურისათვის—30% იმ თანამდებობის ძირითადი განაკვეთისა, რაც მომუშავეს უწყებულ მომენტში უჭირავს.

აღნიშნული პერიოდული მომატების გაცემის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

20. შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავეთათვის დაწესებულია სამხედრო დისციპლინა.

21. შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, რაც მიმართულია შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სასამართლოს წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 127-[1], 127-[2], 127-[3], და 127-[4] მუხლების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 130; 1931 წ. 18 №-ი, მუხ. 204).

22. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ატარებენ თანამდებობის მიხედვით მიკუთვნებულ იარაღს და ფორმის ტანსაცმელს თანამდემობათა განმასხვავებელი სათანადო ნიშნებით.

იარაღისა, ფორმის ტანსაცმელისა და თანამდებობათა განმასხვავებელი ნიშნების ტარების წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

## ᲗᲐᲠᲘ III

### შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების მიერ სამსახურის გავლა.

23. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეებისათვის სპეციალურ და სამხედრო ცოდნათა სწავლება მოხდება იმ მოცულობით და პროგრამით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების პოლიტიკური აღზრდისათვის მოეწყობა სათანადო სპეციალური ორგანოები.

თავიანთი მოვალეობისა და სამსახურის აღსრულების დროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი იხელმძღვანელებენ:

ა) ამა წესდებას და სსრ კავშირის მთავრობის, ა/კსფსრ-ის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის კანონებსა და დადგენილებებს;

ბ) ბრძანებებს, წესებს, დებულებებს და ინსტრუქციებს, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო;

გ) სამწყობრო სამსახურისა და საბრძოლო მომზადების საქმეში—სათანადო წესებს, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი.

24. შრომა-გასწორების დაწესებულების მომუშავეს არ შეუძლიან დაქირავებით დაიჭიროს თანამდებობა შეთავსების წესით სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციაში და აგრეთვე დაიჭიროს რაიმე თანამდებობა კერძო საწარმოში.

შეთავსების წესით მუშაობად არ ჩაითვლება:

ა) მონაწილეობა საუწყებათაშორისო და საუწყებო ხასიათის მუდმივი თუ დროებითი კომისიების სხდომებსა და მუშაობაში;

ბ) მუშაობა სანარდო წესით, რასაც მომუშავე სამსახურისაგან თავისუფალ დროს ასრულებს;

გ) კულტურულ-განმანათლებელი, ლიტერატურული და სამსწავლებლო მუშაობა.

25. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მომზადებულია მომუშავე შრომა-გასწორების დაწესებულებაში სამსახურისათვის, რამდენად შეთვისებული აქვს მას სწორი პოლიტიკური ხაზი და რამდენად ეხერხება ამ ხაზის გატარება, აგრეთვე მომუშავის პროფესიონალურ-სამსახურებრივი თვისებების და სხვა გარემოებების გამოსარკვევად, რასაც სამსახურის გავლისათვის მნიშვნელობა აქვს, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან მოეწყობა სააატესტაციო კომისია, რომელიც იმოქმედებს აღნიშნული სამმართველოს უფროსის მიერ გამოცემული წესების საფუძველზე.

26. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს უფლება აქვს სამსახურის სასარგებლოდ გადაიყვანოს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავენი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას საქართველოს სსრ-ის ფარგლებში.

## ნაწილი IV

### სადისციპლინო ზეგავლენის ღონისძიებანი.

27. მთავრობის დადგენილებებით, ამა წესდებით და სხვა დებულებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებით და განკარგულებებით დადგენილი მოვალეობისა და ყოფა-ქცევის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე სამსახურისადმი არაკეთილსინდისიერი, უყურადღებო და დაუდევარი მოპყრობისათვის, რაც სისხლის სამართლის წესით სადევნელი დანაშაულის შედგენილობას არ შეიცავს, შრომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამეურნეო და ოპერატიული შედგენილობის მომუშავეს დაედება შემდეგი სადისციპლინო გადასახდელი:

ა) გაფრთხილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) სასტიკი საყვედური გაფრთხილებით;

ე) დატუსაღება 20 დღე-ღამემდე;

ვ) უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;

ზ) სამსახურიდან დათხოვნა.

28. სადისციპლინო გადასახდელის დადებისა, მოხსნისა, შეფარდებისა და აგრეთვე ამ გადასახდელის დადების შესახებ მიღებულ დადგენილებათა განსაჩივრების წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

## ნ ა ნ ი V

## წახალისება და დაპრემირება.

29. მუყაითი მუშაობისათვის, ინიციატივის ან თავდარიგიანობის გამოჩენისათვის და აგრეთვე სამსახურში განსაკუთრებული წარმატებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულების მომუშავე წახალისებულ იქნება:

ა) ბრძანებაში მადლობის გამოცხადებით;

ბ) რიგს გარეშე მოკლევადიანი შვებულების მიცემით;

გ) ჯილდოდ საპატიო სიგელის მიცემით;

დ) ჯილდოდ ფულის ან სახელობითი საჩუქრის მიცემით;

ე) ჯილდოდ უფრო მაღალი თანამდებობის მიღებისათვის ვადამდე ატესტაციის მიცემით.

30. წახალისების ღონისძიებათა შეფარდების წესი და იმ პირთა წრე, რომელთაც წახალისების უფლება აქვთ, განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

31. 29 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული წახალისების განსახორციელებლად საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან შეიქმნება სპეციალური ფონდი შრომა-გასწორების დაწესებულებათა წარმოებითი საწარმოების მოგების პროცენტული ანარიცხებიდან. აღნიშნული ფონდი შეიქმნება, შეინახება და დაიხარჯება იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რისაც დამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან შეთანხმებით.

32. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების დაპრემირება დაკვრითი მუშაობისათვის, სოციალისტური შეჯიბრის წესისამებრ, და აგრეთვე სარაციონალიზაციო წინადადებებისათვის განხორციელდება განსაკუთრებული კანონების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲗᲐᲠᲘ VI

### თანამდებობიდან გადაყენება და განთავისუფლება და სამსახურიდან დათხოვნა.

33. დაჭერილი თანამდებობით მოვალეობის აღსრულების დროებით აკრძალვა მოხდება:

ა) უფროსის მიერ, რომელიც მომუშავეს ამ თანამდებობაზე ნიშნავს, და აგრეთვე განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევაში—უწყებული ან ზემდგომი შრომა-გასწორების დაწესებულების თავმდგომთა შედგენილობის პირის მიერ, რომელსაც ამ თანამდებობაზე მომუშავის დანიშვნის უფლება არა აქვს, ხოლო ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმას, ვისაც აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლება აქვს;

ბ) იმ ორგანოს ან პირის მიერ, რომელსაც ეს უფლება კანონით მინიჭებული აქვს.

34. უფროსი, რომელმაც მომუშავე თანამდებობიდან გადააყენა, დაუყოვნებლივ იხმარს ღონისძიებას გამოკვლევის მოსახდენად, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მომუშავე საგამომძიებლო, საპროკურორო ან სასამართლო ორგანოს მოთხოვნით იქნა გადაყენებული.

35. თანამდებობიდან გადაყენებული პირი გამოყენებულ იქნება სამუშაოზე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გადამყენებელი უფროსის შეხედულებისამებრ, სათანადო შემთხვევაში სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებთან შეთანხმებით.

36. უფროსი, რომელმაც ხელქვეითი პირი არაპატივსადები მიზეზით თანამდებობიდან გადააყენა, პასუხს აგებს სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით.

37. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების თანამდებობიდან განთავისუფლება მოხდება:

ა) უკეთუ მომუშავე შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების მოსამზადებელ ან გადასამზადებელ სასწავლებელში შევიდა;

ბ) უკეთუ მომუშავე სხვა თანამდებობაზე დაინიშნა;

გ) უკეთუ მომუშავე სხვა ადგილას იქნა გადაყვანილი;

დ) უკეთუ იგი რეზერვში დაინიშნა.

38. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების სამსახურიდან დათხოვნა მოხდება:

ა) უკეთუ უწყებული დაწესებულების მუშაობა სავსებით ლიკვიდირებულ იქნა ან ამ მუშაობის მოცულობა შემცირდა;

ბ) უკეთუ გამოირკვა, რომ მომუშავე სამსახურისათვის არ გამოდგება;

გ) უკეთუ მომუშავე სისტემატიურად არ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას ან სამსახურში არ ცხადდება არაპატივსადები მიზეზით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უკეთუ მომუშავე ჩაიდენს ამა წესდების მე-6 მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნულ ერთ-ერთ დანაშაულს და ეს დანაშაული დადგენილ იქნა სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით; უკეთუ მომუშავე ორ თვეზე მეტ ხანს პატიმრობაში იმყოფება ან ამავე ვადის განმავლობაში არ მუშაობს საგამომძიებლო, საპროკურორო ან სასამართლო ორგანოების განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენების გამო;

ე) საატესტაციო წესით;

ვ) სადისციპლინო წესით;

ზ) უკეთუ მომუშავეს არ შეუძლია სამსახური და ეს დადგენილია საექიმო კომისიის მიერ.

39. შრომა-გასწორების დაწესებულების მომუშავე, რომელსაც სურს ხელწერილით გათვალისწინებული ვადის გასვლისას (მუხ. 9 და 10) სამსახური დატოვოს, ვალდებულია გააფრთხილოს უწყებულ თანამდებობაზე მომუშავეთა დანიშვნის უფლების მქონე უფროსი არა უგვიანეს, ვიდრე ორი თვით ადრე ხელწერილით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე. მომუშავე, რომელიც ამას თავის დროზე არ განაცხადებს, ვალდებულია განაგრძოს სამსახური ამ თანამდებობაზე ახალი მომუშავის მიღებამდე, ხოლო არა უმეტეს ორი თვისა განცხადების დღიდან.

40. საჩივარი უკანონო დათხოვნის გამო წარედგინება ზემდგომ უფროსს. საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

## ჯ ა რ ი VII

### შრომა-გასწორების დაწესებულებების თავმდგომთა შედგენილობის რეზერვი.

41. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან მოეწყობა თავმდგომთა შედგენილობის რეზერვი.

42. რეზერვში ჩარიცხვა მოხდება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის განკარგულებით შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ მომუშავე შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავეების მოსამზადებელი ან გადასამზადებელი სასწავლებლის დამთავრებისას სამუშაოზე არ დაინიშნა;

ბ) დაწესებულების რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო;

გ) უკეთუ მომუშავე გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან გამოკვლევის შედეგის გამორკვევამდე;

დ) უკეთუ სხვა ადგილას გადაყვანის გამო მომუშავე თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა;

ე) უკეთუ მომუშავე ვაკანსიის გახსნამდე სამსახურში შევიდა.

რეზერვში ჩარიცხვის წესი, რეზერვში ყოფნის ვადა (ხოლო არა უმეტეს ორი თვისა) და რეზერვიდან გამორიცხვა, აგრეთვე რეზერვში ყოფნის დროს მომუშავის გამოყენების წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების დაწესებულებებში სამსახურის წესებით (მუხ. 4).

მთავლიტი № 1529. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.300